

გენერალური ხელშეკრულება
საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე
საბროკერო მომსახურების შესახებ

თბილისი

“___” _____ 20__წ.

სააქციო საზოგადოება “საქართველოს ბანკი”, შემდგომში “ბანკი”, _____ მენეჯერის
_____ სახით, ერთის მხრივ და _____, შემდგომში
“ინვესტორი”, მისი დირექტორის _____ სახით, მეორეს მხრივ, ერთობლივად წოდებული
“მხარეები”, მოქმედებენ რა თავიანთი წესდებების, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ფინანსთა
სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა
და დაფარვის შესახებ დებულების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ ინვესტორის დავალებით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (შემდგომში
“სფქ”) შეძენა, დაფარვა, გასხვისება და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებით საინფორმაციო
მომსახურების გაწევა.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. ბანკი ვალდებულია:

- 2.1.2. ინვესტორების განაცხადის საფუძველზე, განახორციელოს ოპერაციები მის კუთვნილ ფასიან ქაღალდებზე.
- 2.1.3. ინვესტორის განაცხადის (დანართი 2) საფუძველზე გაიტანოს განაცხადი იგივე პირობებით სფქ აუქციონზე
ან მეორად ბაზარზე.
- 2.1.4. მიაწოდოს ინვესტორს ინფორმაცია ინვესტორის განაცხადის შესრულებისა და ფულადი სახსრების ნაშთის
შესახებ მის პირად ანგარიშზე და ინვესტორის კუთვნილი სფქ საერთო რაოდენობაზე.
- 2.1.5. გადარიცხოს აუქციონზე ან ვაჭრობაზე სფქ შესაძენად გათვალისწინებული ინვესტორის ფულადი სახსრები
(ლარებში) ინვესტორის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ოპერაციის ჩატარების თარიღიდან ერთი საბანკო
დღის განმავლობაში.
- 2.1.6. ჩარიცხოს სფქ გასხვისებისა თუ დაფარვის შედეგად მიღებული ინვესტორის კუთვნილი ფულადი სახსრები
(ლარებში) აღნიშნული თანხების მიღებიდან ერთი საბანკო დღის განმავლობაში.

2.2. ბანკი უფლებამოსილია:

- 2.2.1. არ მიიღოს შესასრულებლად ინვესტორის განაცხადი ინვესტორის მიმდინარე ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში
(შემდგომში “ინვესტორის ანგარიში”) სფქ შესაძენად განკუთვნილი სახსრებისა და შესაბამისი საკომისიო თანხის
არარსებობის შემთხვევაში.
- 2.2.2. არ მიიღოს შესასრულებლად ინვესტორის განაცხადი დაგვიანებული მიწოდების, ან არასწორი შევსების
შემთხვევაში.
- 2.2.3. ინვესტორი მიერ სფქ ყიდვაზე განაცხადის წარმოდგენისთანავე, განაცხადში მითითებული ინვესტორის
ანგარიშიდან ჩამოჭრას შესაბამისი თანხები და მიმართოს ბანკის საერთო საბროკერო ანგარიშზე განაცხადის
დაკმაყოფილებამდე ან გაუქმებამდე.
- 2.2.4. დააკმაყოფილოს ინვესტორის აუქციონზე/მეორად ბაზარზე გატანილი მხოლოდ ის განაცხადები (და მხოლოდ
იმ პირობებით), რომლებიც (და რა პირობებითაც) დაკმაყოფილდება აუქციონზე/მეორად ბაზარზე.
- 2.2.5. არ ჩაურიცხოს ინვესტორს სფქ გასხვისებისა თუ დაფარვისას შესაბამისი ფულადი თანხები ამ თანხების
მიუღებლობის შემთხვევაში.

2.3. ინვესტორი ვალდებულია:

- 2.3.1. უზრუნველყოს ინვესტორის ანგარიშზე სფქ შესაძენად განკუთვნილი სახსრებისა და შესაბამისი საკომისიო
თანხის არსებობა აუქციონის ჩატარების დღის მდგომარეობით.
- 2.3.2. გააფორმოს და მიაწოდოს ბანკს სფქ აუქციონზე მონაწილეობის გარიგების ჩატარების განაცხადი აუქციონის
ჩატარების წინა საბანკო დღის 18 საათამდე.

2.4. ინვესტორს შეუძლია ბანკს მიაწოდოს შემდეგი სახის განაცხადები:

- 2.4.1. სფქ აუქციონზე ფასიანი ქაღალდების განსაზღვრული მოცულობით საშუალო შეწონილი ფასით
(არაკონკურენტული) შეძენის შესახებ.
- 2.4.2. სფქ აუქციონზე სახაზინო ფასით (კონკურენტული) შეძენის შესახებ.
- 2.4.3. მეორად ბაზარზე სფქ შეძენისა და გაყიდვის შესახებ.

2.4.4. სხვა სახის განაცხადები, რომლებიც შეიძლება წარმოადგინოს ინვესტორმა სფქ ბაზარზე.

3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1. ამ ხელშეკრულების შესაბამისად სფქ-ზე ფაქტობრივად შესრულებული ოპერაციების ჩატარებისას ინვესტორი გადაუხდის ბანკს საკომისიო გასამჯელოს სფქ ყიდვა-გაყიდვაზე საბროკერო ფუნქციების შესრულებისათვის ბანკში მოქმედი ტარიფების მიხედვით.

სფქ ჩამოწრა, უნდა მოხდეს შესაბამისი დავალების მიღების დღიდან ერთი საბანკო დღის ვადაში.

ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ხდება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

4. დავების გადაწყვეტა

4.1. მოცემული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეებს შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული დავა ვერ გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით, მაშინ წარმოქმნილი უთანხმოება გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ფორს-მაჟორული მდგომარეობის (ომი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, სახელმწიფო აქტები) წარმოქმნისას, როდესაც ნებისმიერი მხარის მიერ შეუძლებელი ხდება საკონტრაქტო ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისად იმ დროით, რა დროითაც იმოქმედებს ფორს-მაჟორული მოვლენები.

5.2. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მაშინ ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და ასეთ შემთხვევაში არც ერთ მხარეს არ ექნება რაიმე კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მეორე მხარისათვის.

5.3. მხარე, რომლისათვისაც შეიქმნა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ვალდებულია ამ მოვლენების დადგომისა და შეწყვეტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და საჯარიმო სანქციები

6.1. ფულადი სახსრების ან სფქ-ის გადარიცხვის შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა თანხის 0.2% ოდენობით გადაურიცხავი თანხიდან ან ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულებიდან ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

6.2. რომელიმე მხარის მიერ საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მას მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. მოცემული ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მისი დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

7.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება შეწყდეს ვადამდე ნებისმიერი მხარის მიერ. ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი მეორე მხარეს ეგზანება წერილობით ამ თარიღამდე 20 კალენდარული დღით ადრე, რასაც ხელს აწერს ნდობით აღჭურვილი პირი და დამოწმებულია ბეჭედით.

7.3. ამ ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდე 20 კალენდარული დღის განმავლობაში თუ ერთ-ერთი მხარე მეორეს წერილობით არ შეატყობინებს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, მაშინ ეს ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება ერთი წლით.

7.4. მოცემული ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლებსაც თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნიათ.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები

ბანკი
სს “საქართველოს ბანკი”
-----სეერის-ცენტრი
მისამართი:
ტელ:

ინვესტორი
შპს “-----“
მისამართი:-----
ტელ: